

გაკვეთილი 31

გრაფიკული ობიექტები

ნაწილი 4

WordArt-ის ტექსტის დამატება

WordArt-ის ობიექტი – ეს არის მხატვრული ტექსტი (ნახ. 8.44), რომელიც გამოიყენება “ლამაზი” სათაურებისა და წარწერების შესაქმნელად. მხატვრულ ტექსტთან შეიძლება გამოიყენოთ ისეთი ეფექტები, როგორცაა ფონი და ასოების კონტური, სტრიქონის ფორმა, ჩრდილი, დახრა, მობრუნება, დაჭიმულობა და სხვა. ჩამოთვლილი მოქმედებების უმრავლესობა სრულდება ზუსტად ისე, როგორც ავტოფიგურებთან მუშაობისას (იხ. განყოფილებები “ობიექტების ზომების, გადაადგილებისა და ერთმანეთზე დადების შეცვლა” და “ავტოფიგურების დამატება” ამ თავში ზემოთ).

ნახ. 8.44. სამუშაო ლისტზე მხატვრული ტექსტის დამატება

ტექსტი WordArt-ის ობიექტებში არ გადაიტანება, მაგრამ მასთან შეიძლება იქნას გამოყენებული შრიფტისა და აბზაცის პარამეტრები (ზომა, მოხაზულობა, სახეცვლილება, კიდევანი, ინტერვალი და სხვა). ის თავსდება ჩარჩოში, რომელიც ასევე შეიძლება ფორმატირდეს. მხატვრულ ტექსტთან და მის ჩარჩოსთან შეიძლება იქნას გამოყენებული სტილები. WordArt-ის ტექსტი შეიძლება იქნას დამატებული სამუშაო ლისტზე როგორც ცალკე ობიექტი, ანუ “ლამაზი” წარწერის სახით, და კიდევ შეიძლება იქნას ჩასმული ავტოფიგურის ან ფიგურის შიგნით, რომელიც SmartArt-ის ნახატის შემდგენლობაში შედის. ყველა შემთხვევაში მათი მომართვის პარამეტრები და საშუალებები WordArt-ის ტექსტისთვის ერთნაირია.

WordArt-ის ტექსტის დასამატებლად:

დააწკაპუნეთ ღილაკს WordArt ლენტის ჩანართ Insert-ჩასმის განყოფილებაში Text-ტექსტი.

1. გაიხსნება ტექსტის სტილების ნიმუშების გალერეა. მასში დააწკაპუნეთ ნიმუშზე, რომლითაც უნდა გაფორმდეს ტექსტი (ნახ. 8.44 ზემოთ).
2. სამუშაო ლისტზე გაჩნდება ჩარჩო ფორმალური ტექსტით “წარწერის ტექსტი”.
3. კლავიატურის მეშვეობით აკრიფეთ წარწერის ტექსტი. ის შეცვლის ფორმალურ ტექსტს წარწერაში (ნახ. 8.44 ქვემოთ).

როდესაც ტექსტი აკრეფილი იქნება, მიმანიშნებლით დააწკაპუნეთ ტექსტის ჩარჩოს “გარეთ”, რათა მისგან მოხსნათ მონიშვნა (ან დააჭირეთ კლავიშს Esc, რათა ტექსტის ჩარჩო მონიშნული დატოვოთ).

WordArt-ის ტექსტის რედაქტირება

თუ დააწკაპუნებთ მიმანიშნებლით WordArt-ის ტექსტზე, მის ირგვლივ გაჩნდება პუნქტირული ჩარჩო, რომელიც მოწმობს ტექსტის რედაქტირების რეჟიმში გადასვლას. ამ მდგომარეობაში შეგიძლიათ შესწორება შეიტანოთ ტექსტში, მონიშნოთ ცალკეული სიმბოლოები მიმანიშნებლის გადატანით (ნახ. 8.45). ამ რეჟიმში ხელმისაწვდომია ასევე ფორმატირების მცირე პანელი და შრიფტისა და აბზაცის მოსამართი დიალოგური ფანჯრები.

ნახ. 8.45. სიმბოლოები შეიძლება ცალ-ცალკე დაფორმატდეს

WordArt-ის ობიექტების ფორმატირება და სტილები

ტექსტის შრიფტისა და აბზაცების ფორმატირებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ დიალოგური ფანჯრები Font-შრიფტი და Paragraph-აბზაცი, რომლებიც იხსნება მისი კონტექსტური მენიუდან (ნახ. 8.46).

ნახ. 8.46. დიალოგური ფანჯრები Font-შრიფტი და Paragraph-აზნატი

ხოლო WordArt-ის ობიექტთან ორიგინალური სტილის გამოსაყენებლად:

მონიშნეთ WordArt-ის ობიექტი, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, მონიშნეთ სიმბოლოები, რომლების დაფორმატებაც არის საჭირო.

გახსენით WordArt-ის სტილების გალერეა, ღილაკ More-ექსპრეს-სტილებზე დაწკაპუნებით ლენტის ჩანართ Format (Drawing Tools)-ფორმატის (ხატვის საშუალებები) განყოფილებაში WordArt Styles-WordArt ის სტილები.

მთელი ტექსტის ფორმატირებისთვის ერთ-ერთ ნიმუშზე დააწკაპუნეთ სტილების გალერეის განყოფილებაში Applies to All Text in the Shape-გამოყენებადია ფიგურაში მთელ ტექსტთან (ნახ. 8.47).

ნახ. 8.47. WordArt-ის ობიექტების სტილების გალერეა

მონიშნული სიმბოლოების ფორმატირებისთვის დააწკაპუნეთ ერთ-ერთ ნიმუშზე სტილების გალერეის განყოფილებაში Applies to Selected Text-გამოყენებადია მონიშნულ ტექსტთან (იხ. ნახ. 8.45 და 8.47).

სტილების გაუქმება

WordArt-ის ობიექტის ფორმატირების გასაუქმებლად აირჩიეთ ბრძანება WordArt-ის ფორმატირების გასუფთავება, რომელიც მდებარეობს სტილების გალერეის ქვედა ნაწილში.

ტექსტის ფონი, კონტურები და ანიმაცია

თუ მხატვრული ჩანაფიქრის რეალიზაციისთვის თქვენთვის საკმარისია პროგრამაში არსებული ტექსტის სტილები, შეგიძლიათ მომართოთ ასოების ფონი და შემოფარგვლა “ხელით”. ასევე შეიძლება დაემატოს ტექსტს ეფექტები (ანიმაცია). ამისათვის უნდა გამოიყენოთ გალერეები, რომლებიც იხსნება ღილაკებით Text File-ტექსტის ფონი, Text Outline-ტექსტის კონტური და Effects-ეფექტი (იხ. ნახ. 8.47), ან დიალოგური ფანჯარა Format Text Effects-ეფექტის პარამეტრები, რომელიც იხსნება ღილაკით Format Text Effects-ეფექტის პარამეტრები (განყოფილება WordArt-ის სტილების ქვედა მარჯვენა კუთხეში).

ფონებისა და კონტურების გალერეები არ განსხვავდება გალერეებისგან, რომლებიც გამოიყენება ვექტორული ნახატებისა და ფიგურების მოსამართლად (იხ. განყოფილება “ნახატების სტილები” ამ თავში ზემოთ და ნახ. 8.9). ხოლო ეფექტების გალერეაში არის ორიგინალური განყოფილება – Transform-გარდაქმნა (ნახ. 8.48), რომელიც საშუალებას იძლევა შეიცვალოს ტექსტის სტრიქონის ფორმა ტრანსფორმირების მიხედვით ან მისი გამრუდების გზით.

ნახ. 8.48. ეფექტების გალერეა ტექსტის გარდასაქმნელი განყოფილებებით

WordArt-ის გარდაქმნილ ტექსტს უჩნდება დამატებითი მარკერები იისფერი რომბების სახით. ამ მარკერების გადაადგილებით შეიძლება შეიცვალოს ტექსტური სტრიქონის გამრუდების ხარისხი (ნახ. 8.49).

ჰიპერბმულების დამატება

ჰიპერბმული არის ბმული დოკუმენტში, რომელზე დაწკაპუნებითაც იხსნება სხვა გვერდი ან ფაილი. როდესაც მომხმარებელი აწკაპუნებს ჰიპერბმულზე, ობიექტი, რომელზეც ის მიანიშნებს (მისი ტიპის მიხედვით) იხსნება პროგრამა-მიმომხილველში ან ამოქმედდება. მაგალითად, ჰიპერბმული ინტერნეტის გვერდზე ხსნის ამ გვერდს მიმომხილველში, ხოლო ჰიპერბმული ვიდეო-ფაილზე – ხსნის ამ ფაილს უნივერსალურ დამკვრელში. მიმანიშნებლის ობიექტზე დაყენებისას, რომელიც არის ჰიპერბმული, მიმანიშნებელი “ხელის” სახეს მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტექსტზე ან ნახატზე, რომელზეც ის არის მიტანილი, შეიძლება დაწკაპუნება.

ნახ. 8.49. გარდაქმნილი ტექსტი

ჰიპერბმული Excel-ის სამუშაო ლისტზე შეიძლება დაემატოს ტექსტის სახით (ნახ. 8.50), ასევე დაენიშნოს ღილაკებს, ნახატებს ან ნახატის ნაწილებს. ეს ხდება ერთ დიალოგურ ფანჯარაში Insert Hyperlink-ჰიპერბმულის ჩასმა (ნახ. 8.51), ხოლო ობიექტი, რომელსაც ემატება ჰიპერბმული, მიეთითება მონიშნით დიალოგური ფანჯრის გახსნამდე.

ნახ. 8.50. ჰიპერბმული ტექსტის სახით სამუშაო ლისტზე

ჰიპერბმულის დასამატებლად:

1. მონიშნეთ უჯრედი, ღილაკი, ნახატი ან ნახატის ნაწილი.
ლენტის ჩანართ Inert-ჩასმის განყოფილებაში Hyperlink-ბმულები დააწკაპუნეთ ღილაკზე ჰიპერბმული, რათა გახსნათ დიალოგური ფანჯარა Insert Hyperlink-ჰიპერბმულის ჩასმა.

ნახ. 8.51. დიალოგური ფანჯარა Insert Hyperlink-ჰიპერბმულის ჩასმა

სიაში Link to-შეკავშირება აირჩიეთ დოკუმენტის ტიპი, რომელთანაც განახორციელებს მიმართვას ჰიპერბმული: ფაილი, ვებ-გვერდი, გარკვეული ადგილი მიმდინარე დოკუმენტში (სამუშაო ფურცელი, უჯრედთა დიაპაზონი, დიაპაზონის სახელი), ახალი დოკუმენტი (რომელიც იქნება შექმნილი) ან ელექტრონული ფოსტის შეტყობინება (რომელიც იქნება შექმნილი). თქვენ მიერ გაკეთებული არჩევანის მიხედვით შეიცვლება ფანჯრის ცენტრალური ნაწილი, მართვის ელემენტების ასახვით, რომლებიც მომართვას შეესაბამება. მაგალითად, თუ აირჩევთ ვარიანტს Place in This Document-(დაკავშირება) დოკუმენტში ადგილთან, აისახება მინდვრები, რომლებშიც შეიძლება მიუთითოთ დიაპაზონების სახელები და სამუშაო ლისტები ან უჯრედთა მისამართები. თუ საჭიროა ჰიპერბმულში მოკარნახის შეყვანა, დააწკაპუნეთ ღილაკზე ScreeTip-მოკარნახე, მერე კი შეიყვანეთ ტექსტი დიალოგურ ფანჯარაში ScreeTip Text-მოკარნახე ჰიპერბმულისთვის.

2. შეავსეთ სხვა მინდვრები, თქვენ მიერ არჩეული ვარიანტის მიხედვით.
დააწკაპუნეთ ღილაკს OK, რათა დაამატოთ ჰიპერბმული სამუშაო ფურცელის ობიექტთან (ნახ. 8.52).

ნახ. 8.52. ჰიპერბმული დამატებულია ღილაკთან და ნახატთან

ჰიპერბმულის შეცვლა, გადაადგილება და კოპირება

ჰიპერბმულის შესაცვლელად, თავის მარჯვენა ღილაკით დააწკაპუნეთ ობიექტზე და აირჩიეთ კონტექსტურ მენიუში ბრძანება Edit Hyperlink-ჰიპერბმულის შეცვლა, მერე კი შესაბამისი კორექტირებები გააკეთეთ დიალოგურ ფანჯარაში Edit Hyperlink-ჰიპერბმულის შეცვლა, რომელიც ფანჯრის Insert Hyperlink-ჰიპერბმულის ჩასმის ანალოგიურია. ჰიპერბმულის გადასადგილებლად ან ჰიპერბმულის კოპირებისთვის გამოიყენეთ გაცვლის ბუფერი და ობიექტის კონტექსტური მენიუს

ბრძანებები.

OLEობიექტების დამატება

შეკავშირებული ან დანერგილი ობიექტები საშუალებას სამუშაო წიგნში იძლევა აისახოს ობიექტი და რედაქტირდეს ის იმ პროგრამაში, რომელშიც იქნა შექმნილი. ამ ტიპის ობიექტები შეიძლება აისახებოდეს თავისი “საწყისი” სახით ან ნიშნის სახით, რომლის მეშვეობითაც ობიექტი შეიძლება იქნას გახსნილი (ნახ. 8.53).

ნახ. 8.53. დაკავშირებული (Microsoft Word Document) და დანერგილი (Microsoft Equation 3.0) ობიექტები, რომლებიც აისახება ნიშნის სახით (მარცხნივ) და დოკუმენტის სახით (მარჯვნივ)

შეკავშირება თუ დანერგვა?

რით განსხვავდება შეკავშირება დანერგვისგან? ორივე შემთხვევაში შეგიძლიათ ობიექტის რედაქტირება. მაგრამ დანერგვისას ის მხოლოდ კონკრეტული სამუშაო წიგნის კუთვნილება იქნება, შეკავშირების დროს კი, ყოველ ჯერზე იმპორტირდება, როდესაც მას მიმართავთ. დანერგილ ობიექტებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაზარდონ ფაილის მოცულობა. შეკავშირებული დოკუმენტები Excel-ში “ტოვებენ” მხოლოდ ბმულს თავის მისამართზე, იქ, სადაც ისინი არიან ან იქნებიან განთავსებულნი. შეკავშირებულ დოკუმენტებთან ვინმემ შეიძლება “წაიშალოს” თქვენი არყოფნისას, ის შეცვალოს ან სხვა საქალაქოშიც კი გადაიტანოს. მაშინ დოკუმენტი არა მხოლოდ “დაზიანდება”, სამუშაო წიგნთან მისი კავშირიც კი შეიძლება დაირღვას. რა უნდა აირჩიოთ, ეს კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული.

OLEობიექტების კორექტული ასახვა

OLEობიექტის სახით დანერგილი ყველა ფაილი როდი აისახება მართებულად სამუშაო ფურცელზე. კორექტული ასახვისთვის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფაა საჭირო, რომელიც შეიცავს კომპონენტებს (მათ “OLEსერვერები” ეწოდება) შესაბამისი ფორმატებისთვის. Office 2007-ში OLEსერვერები აქვთ Microsoft Office-ის პროგრამების დოკუმენტებს, გრაფიკულ ფორმატებს .bmp და .dib, ხოლო სხვა ფორმატის ფაილებისთვის, მაგალითად, .tiff და .gif _ ისინი არ არის. ამიტომ სამუშაო ფურცელზე მათთვის ასახული იქნება ნიშანი ან წარწერა ფაილის სახელით, და არა ნახატი (ნახ. 8.54). მიუხედავად ამისა, ასეთი ობიექტი შეიძლება გაიხსნას “მშობლიურ” პროგრამაში თავის მიმანიშნებლის ორმაგი დაწკაპუნებით. “მშობლიური” ის პროგრამაა, რომლისთვისაც ის დარეგისტრირებულია Windows-ში.

ნახ. 8.54. ობიექტის ასახვა, რომლისთვისაც არ არის სერვერი

ახალი ან არსებული (ფაილში შენახული) ობიექტის ჩასასმელად (დასაკავშირებლად), დააწკაპუნეთ ღილაკზე Object-ობიექტი ლენტის ჩანართ Data-ჩასმა განყოფილებაში Text-ტექსტი. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Object-ჩასმა (ნახ. 8.55).

ნახ. 8.55. დიალოგური ფანჯარა Object-ობიექტი

თუ საჭიროა ახალი ობიექტის შექმნა, წინა პლანზე გადმოიტანეთ ჩანართი Create New-ახალი და სიაში Object type-ობიექტის ტიპი აირჩიეთ შესაქმნელი ობიექტის ტიპი. დააყენეთ ალამი

პარამეტრისთვის Display as icon-ნიშნის სახით, თუ გსურთ, რომ სამუშაო ლისტზე ობიექტი აისახებოდეს ნიშნის სახით, რომელიც ფაილს წარმოადგენს. ქვემოთ დაინახავთ ამ ნიშანს, ასევე ღილაკს Change icon-ნიშნის შეცვლა, რომელზე დაწკაპუნებითაც შეგიძლიათ აირჩიოთ ახალი ნიშანი და შეცვალოთ მის ქვეშ წარწერა. დააწკაპუნეთ ღილაკს OK. გაიხსნება პროგრამა, რომელშიც შეგიძლიათ მაშინვე დაიწყოთ ახალი დოკუმენტის შექმნა. მისი დახურვისთანავე დაინახავთ ობიექტს სამუშაო ლისტზე (იხ. ნახ. 8.53).

თუ ობიექტი უკვე არსებობს, შეიძლება ის როგორც დაინერგოს, ისე შეიქმნას მასთან კავშირი. ობიექტების ჩასმისა და დანერგვის დიალოგურ ფანჯარაში (იხ. ნახ. 8.55) გამოიტანეთ წინა პლანზე ჩანართი Create from file-ფაილიდან. თუ საჭიროა ობიექტთან კავშირის დადგენა, დააყენეთ ალამი პარამეტრისთვის Link to file-ფაილთან კავშირი, და დააწკაპუნეთ ღილაკს Browse-მიმოხილვა, რათა იპოვოთ ობიექტის ფაილი. დააწკაპუნეთ ღილაკს OK და შეკავშირებული ან დანერგილი ობიექტი სამუშაო ლისტზე გამოჩნდება (იხ. ნახ. 8.53).

ზოგიერთ დანართში (ძირითადად, Microsoft Office-ის პროგრამებში) არსებული საშუალებების – OLEმექანიზმის მეშვეობით არსებული დოკუმენტის ნაწილის შეკავშირების გამოყენებით, სამუშაო ლისტზე შეიძლება დადგინდეს კავშირი დოკუმენტის ნაწილთან, მაგალითად, Word-ის დოკუმენტის ფრაგმენტთან. შეიძლება ასევე დაინერგოს დოკუმენტის ნაწილი. ამისათვის უნდა გახსნათ პროგრამა, რომელშიც რედაქტირდება ობიექტი, მონიშნოთ დოკუმენტის ნაწილი და კონტექსტურ მენიუში შეასრულოთ ბრძანება Copy-კოპირება. ამის მერე, დანართი გახსნილი დატოვით, გადადით Excel-ში და თავის მარჯვენა ღილაკით დააწკაპუნეთ სამუშაო ლისტზე, რის შემდეგაც კონტექსტურ მენიუში შეასრულოთ ბრძანება Paste Special-სპეციალური ჩასმა. დიალოგურ ფანჯარაში Paste Special-სპეციალური ჩასმა აირჩიეთ ფორმატი და დააწკაპუნეთ ღილაკს OK. დიალოგური ფანჯარა დაიხურება, ხოლო ობიექტი დაინერგება.

დანერგილი ობიექტები შეიძლება გარდაიქმნას (სხვა ტიპად ან ფორმატად). ამისათვის OLEობიექტის კონტექსტურ მენიუში უნდა აირჩიოთ ბრძანება ობიექტი ობიექტის ტიპი > გარდაქმნა.

გაიხსნება დიალოგური ფანჯარა ობიექტის ტიპის გარდაქმნა (ნახ. 8.56), სადაც შეიძლება იყოს გარდაქმნის სულ რამდენიმე ვარიანტი. თუ ისინი არის, შესაფერისი აირჩიეთ და დააწკაპუნეთ ღილაკს OK. ობიექტი გარდაიქმნება სამუშაო წიგნის შიგნით ან გარდაიქმნება ყოველ ჯერზე მისი გახსნისას. დიალოგურ ფანჯარაში გარდაქმნა შეიძლება ასევე დაადგინოთ ან გააუქმოთ დოკუმენტის გამოტანა ნიშნის სახით.

ნახ. 8.56. დიალოგური ფანჯარა Convert-ობიექტის ტიპის გარდაქმნა